პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 138 (5168)

1974 წ. 14 ივლისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲐᲠᲐᲕᲐᲜᲨᲘ

ულიანოვსკში სულ უფრო პოპულარული ხდება აფროსნობა. ამ სახეობით გატაცებული არიან საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები, სტუდენტები. ულიანოვსკელი აფროსნები მონაწილეობენ დიდ და პატარა რეგატებში, რომელთა შედეგებიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩათვლაში შედის.

სურათზე: „ურჩხულის“ კლასის ნავები აფროსანთა საოლქო ჩემპიონატის სარბიელზე.

ი. ბელოზიოროვის ფოტო (საკადესი).

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲜᲔᲕᲔᲜ



ალმა-ათაში გრძელდება საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადა. დამთავრდა ფეხბურთელთა წინასწარი შეხვედრები. საქართველოს გუნდს, რომელიც მესამე ქვეჯგუფში გამოდიოდა, ბოლო მატჩი ბელორუსიის კოლექტივთან ჰქონდა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 2:0. ამ ქვეჯგუფიდან ფინალში გავიდა, აგრეთვე, რსფსრ-ს გუნდი, რომელმაც მორიგ შეხვედრაში თურქმენეთის მოსწავლეთა ნაკრებს მოუგო — 3:1.

გუშინწინ ჭადრაკში დამთავრდა გადადებული პარტიები. საქართველოს სპორტსმენები ლატვიელებს უგებდნენ ანგარიშით 5,5:1,5 და ერთი პარტია გადადებული ჰქონდათ. ეს შეხვედრა ლატვიელების გამარჯვებით დამთავრდა და მატჩის საბოლოო ანგარიში 5,5:2,5 გახდა. ასევე დასრულდა მოსკოვისა და სომხეთის, უზბეკეთისა და ლიტვის გუნდების შეხვედრები. უკრაინისა და მოლდავეთის მატჩში ჯერჯერობით ანგარიშია 5:2 უკრაინელთა სასარგებლოდ. ერთი პარტია კვლავ გადაიდო.

ჭადრაკში ორი ტურის შემდეგ ლიდერობენ მოსკოველი მოსწავლეები, რომლებსაც 10 ქულა აქვთ, II ადგილზეა საქართველოს გუნდი — 9,5 ქულა. III და IV ადგილებზე არიან უკრაინისა და უზბეკეთის მოჭადრაკეები — 9-9.

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ“

ტულა, 12 ივლისი. გრძელდება ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატი ტრეკზე. დღეს უურადღების ცენტრში იყო სპრინტერთა ასპარეზობა, რომელსაც სტარტი ოთხთვე-ნახევრის წინ მიეცა.

ველოსპორტის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ოქროს მედლისთვის ბრძოლა სპრინტში წლეულს სამ ეტაპს მოიცავდა. პირველი ეტაპი ჩატარდა ლენინაბადში. გამარჯვების ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა, ხარკოველმა ს. კრავცოვმა ამ ასპარეზობაში XII ადგილი დაიკავა. ეს პირველი ტურის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია იყო. მას შემდეგ, რაც სარბიელს ჩამოსცილდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. ფხაკაძე, სპეციალისტებმა მის მემკვიდრედ ერთხმად კრავცოვი დასახელეს, მაგრამ ლენინაბადში ფავორიტმა იმედი არ გაამართლა. იგი აშკარად არ იყო ფორმაში და ათეულშიც ვერ მოხვდა.

და მაინც, კრავცოვი ოქროს მედლის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად დარჩა. ხარკოველმა ველოსიპედისტმა ბრწყინვალედ იასპარეზა II ტურში, რომელსაც თბილისის ახალი ტრეკი მასპინძლობდა. მან უკან ჩამოიტოვა ყველა პოტენციური მეტოქე და I ადგილი დაიკავა.

ეს „მარათონული“ სპრინტი დღეს დამთავრდა ტულაში. კრავცოვი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, დამაჯერებლად მოიგო ყველა სერია და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მას ოქროს დიდი მედალი გადაეცა.

საინტერესო იყო გამოდევნებით გუნდური რბოლაც. I ადგილი მოიპოვა პროფკავშირების ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ბ. დომოროკინი (სიმფეროპოლი), ბ. გოლუბნიჩი (ხარკოვი), ვ. ოსოკინი (ლენინგრადი) და ე. რაპი (ომსკი). ფინალში ამ გუნდმა 4.37,68 აჩვენა და 2,63 წამი მოუგო II ადგილზე გასულ შეიარაღებულ ძალთა ნაკრებს. აღსანიშნავია, რომ ორივე კოლექტივმა ნახევარფინალში საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა: პროფკავშირების ნაკრებმა — 4.32,38, არმიელთა გუნდმა — 4.32,71.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ 50 ᲬᲚᲘᲡ

შესრულდა 50 წელი კომკავშირისთვის ლენინის სახელის მინიჭებიდან. ამ ხნის მანძილზე კომკავშირმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ღირსეულად ატარებს დიდი ბელადის სახელს. კომკავშირელები მუდამ მოწინავენი იყვნენ და არიან დიდი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ყველა უბანზე.

კომკავშირი მუდამ იყო ფიზკულტურული მოძრაობის სული და გული. ახლაც, ისევე როგორც ათეული წლების წინათ, კომკავშირს თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია აღზრდა ყოველმხრივ განვითარებული და ფიზიკურად სრულყოფილი ახალგაზრდობისა, რომელიც მუდამ მზად იქნება მაღალნაყოფიერი შრომისა და სოციალისტური საშობლოს დაცვისთვის, ყოველდღიური მუშაობისთვის მზად ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ფართოდ დანერგვისა და პროპაგანდის მიზნით, თაობისა, რომელიც სახელოვნად ატარებს . საშობლოს დროშას ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიური თამაშებში.

ახდა კაცობრიობის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ოცნება: ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა არნახულ აყვავებას მიაღწია, საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. ამაში კომკავშირს უდიდესი დამსახურება მიუძღვის.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲓᲦᲔᲜᲘ

ტალინი, 12 ივლისი. აქ გაიმართა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა მშვილდოსნობაში. ქალთა შორის „მ-2“ ვარჯიშის ჯამში გამარჯვებულმა ვ. კოვპანმა (ლვოვი) 2470 ქულა მოაგროვა, რაც სსრ კავშირის რეკორდია.

ტალინი, 12 ივლისი. აქ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალქვეშა სპორტში. პირველივე დღეს მსოფლიო რეკორდები დამყარდა. 800 მეტრზე ფარფლებით ცურვაში ლენინგრადელმა თ. სამატოვმ 8.18,7 აჩვენა. მალე ასევეა შედეგი გაიმეორა ბელორუსელმა სპორტსმენმა ვ. ხბორჩიკმა. სულ 5 წუთს იარსება ესტონელი ი. კრავეცის მსოფლიო რეკორდმა 400 მეტრზე ფარფლებით ცურვაში — 3.31,0. უკვე მომდევნო გაცურვაში ლენინგრადელმა ვ. ანდრეევმა გააუმჯობესა ეს შედეგი — 3.29,7.

ᲢᲐᲚᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲠᲑᲔᲜᲐᲚᲜᲘ

გინახავთ თუ არა სარბენი ბილიკი, რომლის ქვეშაც ზღვა ხმაურობს? თუ არა, ნახეთ ნეფტჩალიე კაძნი. კასპიის ზღვის დამპყრობთა ხიმინჯების ქალაქში, რომელიც ბაქოდან 100 კილომეტრის დაშორებით, ტალღებზეა აღმართული, სწორედ ასეთი ბილიკი მოეწყო. ჩვეულებრივ დღეებში ეს, უბრალოდ, ხიმინჯების ქუჩაა, სადაც ავტობუსები დაქრიან, ჯაბურღილებისკენ მიემართებიან სხვადასხვა მასალითა და მოწყობილობით დატვირთული საბარგო მანქანები. უქმე დღეებში კი ეს ქუჩა მძლეოსნობის მოყვარულთა სარბიელად იქცევა ხოლმე.

აპას წინათაც მოედანზე 80-ზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი. ფიზკულტურის საბჭოს აქტივისტებმა ჯერ კიდევ წინადღით შეარჩიეს ტრასა ქროსის ჩასატარებლად. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის ყველაფერი მზად იყო. სტარტზე პირველნი სპრინტერები გაეშვიდნენ. ერთი გარბენი, მეორე, მესამე... შემდეგ კი იმპროვიზებულ საპატიო კერძლბეკზე ავიდნენ ოპერატორები ტ. უპეინოვი და ნ. კარეინოვი, რომლებმაც ოქროს სამკერდე ნიშნები დაიმსახურეს.

შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა 1000 მეტრზე. შეჯიბრებას დიდახს ლიდერობდა ოპერატორი ა. კადირლი, მაგრამ ფინიშთან მას გაუსწრო შემდეგ ლენინგრადელმა ვ. დმიტროვსკიმ, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა.

ბოლო ერთი წლის მანძილზე მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო ცხრაასმა მენავთობემ. ამათგან 160-ზე მეტმა უკვე მოიპოვა ვერცხლისა და ოქროს საძკერდე ნიშნები.

მშდ კომპლექსის ნიშნოსნები, როგორც წესი, ვარჯიშს ნორმატივების ჩაბარების შემდეგ წყვეტენ. ისინი აქტიურად მეცადინეობენ ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, მინი-ფეხბურთისა და სხვა სექციებში.

— ზღვაზე იშვიათად შეხვდები კაცს, სპორტი რომ არ უყვარდეს, — ამბობს სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. მამედოვი, — სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ზღვა ხომ მზოლოდ ძლიერებს ემორჩილება, ძალას კი სპორტი გვაძლევს.

ა. გოლდენბერგი.

(საკადესის კორ.).

ბაქო.

სსრ კავშირის სამპაისტთა ნაკრებმა ესპანეთის დედაქალაქში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში რვა ოქროს მედალი მოიპოვა.

სურათზე: ევროპის 1974 წლის ჩემპიონები სამბოში: პირველ რიგში (მარცხნიდან) — მ. ანი, გ. ბირიუკოვი, მ. ბაგაუტდინოვი, ს. უურბანოვი; მეორე რიგში — გ. კოსტიკოვი, ა. ემიკი, გ. მალენკინი და ვ. კლიოდენკო.

ა. იაკოვლევის ფოტო (საკადესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაგვარებელი საკითხები

მეფის რუსეთში თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტები. უმეტესობას ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოდან იწვევდნენ. ამჟამად საბჭოთა ქვეყანაში ამ კეთილშობილურ საქმეს 270000-ზე მეტი მუშაკი ემსახურება. ოქტომბრის რევოლუციამდე ამ დარგში არც ერთი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულება არ არსებობდა, დღეისთვის კი სსრ კავშირში ფიზკულტურის სპეციალისტებს ამზადებს 23 ინსტიტუტი, 25 ტექნიკუმი, 10 მწვრთნელთა სკოლა, პედინსტიტუტების 85 ფაკულტეტი, პედაგოგიური სასწავლებლების 78 ფიზალზრდის განყოფილება.

ფიზკულტურის სასწავლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში დასაქმებულია ოთხი ათასამდე სპეციალისტი, რომელთა შორის ნახევარზე მეტს სამეცნიერო ხარისხი ან წოდება აქვს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის თითქმის ყველა რგოლი სპეციალური განათლების მქონე მუშაკთა დიდ ნაკლოვანებას განიცდის. ფიზკულტურისა და სპორტის 4211 საქალაქო და რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეებიდან 55 პროცენტს შეაბამიები სპეციალური განათლება არ გააჩნია. არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშია სახარბიელო მდგომარეობა: თითქმის ყოველ მესამე მასწავლებელს საერთოდ, სოფლად კი ყოველი 100 მასწავლებლიდან 63-ს ფიზკულტურული განათლება არა აქვს. სოფლად მომუშავე ფიზკულტურის მუშაკებიდან სპეციალისტი არ არის 75 პროცენტი, ინსტრუქტორ-მეთოდისტებიდან — 90 პროცენტი.

საინფორმაციო და ოფიციალური წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ სხვა მოძმე რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოს ამ მხრივ მაინც უკეთესი მდგომარეობა აქვს. ფიზკულტურის დარგში სპეციალური განათლების მქონე მუშაკების რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკაში შეადგენს 63,9 პროცენტს (ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში — 64,5-77 პროცენტამდე, უზბეკეთში — 53,2, თურქმენეთში — 43,8 პროცენტს). ამის გამო იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ უფრო ნაკლებად გვჭირდება სპეციალური განათლების მქონე მუშაკები. სინამდვილეში კი ასე არ არის.

ამ გარემოებას ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი და მომავალი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შეუფელებელი წინსვლა მოითხოვს სწორედ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს, განსაკუთრებით იქ, სადაც მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის, შრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომისნაყოფიერების ამაღლებისა და დიდი სპორტის საკითხები წყდება.

წლევანდელი წლის 1 იანვრისთვის რესპუბლიკაში 6241 საშტატო მუშაკი (აქედან ქალები 5,8 პროცენტს შეადგენდნენ) ირიცხებოდა. მათ შორის უმაღლესი ფიზკულტურული განათლება ჰქონდა 4152 კაცს, საშუალო — 1003-ს. ამრიგად, ამ დარგის 1000-ზე მეტ მუშაკს საერთოდ არა აქვს ფიზკულტურული განათლება. მართალია, ფიზკულტურის მუშაკთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, მაგრამ ბოლო წლებში, სამწუხაროდ, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი მუშაკთა საერთო რაოდენობასთან შედარებით კლებულობს.

თუ 1970 წელს უმაღლესი სპეციალური განათლება არ ჰქონდა ფიზკულტურული მუშაკების 28 პროცენტს, 1971 წელს — 29 პროცენტს, 1972 წელს — 30,2 პროცენტს, 1973 წელს ეს მონაცემები 33,5 პროცენტამდე გაიზარდა. უფრო მეტი: 1973 წელს 1972 წელთან შედარებით უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვმა 140 ერთეულით დაიკლო.

როგორც ცნობილია, ყველაზე მეტი სპეციალისტი თავმოყრილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (3745 ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი), მათ შორის მხოლოდ 2434-ს აქვს უმაღლესი განათლება. 836 მასწავლებელს ფიზკულტურული განათლება საერთოდ არ მიუღია.

რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებების 2133 საშტატო მუშაკიდან ყოველი მესამე არასპეციალისტია. ამ მხრივ საზოგადოებათა მიხედვით სურათი ასე წარმოგვიდგება: „დინამოში“ 169 მუშაკიდან უმაღლესი ფიზკულტურული განათლების გარეშეა 78, „განთიადში“ — 457-დან 150, „ლოკომოტივში“ — 92-დან 25, „მრომით რეზერვებში“ — 142-დან 23, „ვოდნიკში“ — 28-დან 17, „სპარტაკში“ — 313-დან 60.

ზოგიერთი სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელები არ ზრუნავენ, რომ აპარატი მაინც ჰყავდეთ დაკომპლექტებული უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტებით. მაგალითად, „დინამოს“ აპარატში უმაღლესი განათლება არა აქვს 36 მუშაკიდან 16-ს, „განთიადში“—27-დან 6-ს, „სპარტაკში“—54-დან 12-ს. რაც შეეხება „შრომით რეზერვებს“, 81 ფიზიკური აღზრდის მასწავლებლიდან 15 დაბალი კვალიფიკაციისაა. სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხი „კოლმეურნეში“ ჯერჯერობით „აქილევსის ქუსლად“ რჩება. ახალგაზრდა სპეციალისტები უსალოდ მიდიან სოფლად სამუშაოდ. ამიტომაცაა, რომ სოფლად დასაქმებული 625 მუშაკიდან 405-ს ფიზკულტურული განათლება არა აქვს.

არის სხვა ფაქტებიც. უმაღლესი განათლება არა აქვს: სპორტნაგებობების 159 მუშაკიდან 59 კაცს, სპორტულ სკოლებში მომუშავე 370 მწვრთნელ-მასწავლებლიდან — 106-ს, სპორტკომიტეტების აპარატის 176 მუშაკიდან — 27-ს, საქალაქო და რაიონული სპორტკომიტეტების 88 თავმჯდომარიდან — 13-ს.

ყველაზე ცუდი მდგომარეობაა საწარმოო ტანვარჯიშის ხაზით: 745 მეთოდისტიდან ნახევარზე მეტი არასპეციალისტია.

სწორედ მეთოდისტთა დაბალი კვალიფიკაციის შედეგია, რომ ბოლო წლებში მათი რიცხვი რესპუბლიკაში თანდათან კლებულობს. 1973 წელს 1970 წელთან შედარებით წარმოებებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში 13-ით ნაკლები მეთოდისტი მუშაობს.

თუ ხელმძღვანელმა ორგანოებმა,

(დასასრული მე-3 გვ.).



სესიამ იმსჯელა

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სესიამ, რომელიც ამას წინათ შედგა, განიხილა ოლქში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა საკითხი. მოსსენებით გამოვიდნენ აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვი და კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. კოტაევი.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ოლქში ბევრი რამ გაკეთდა ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. აშენდა ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლა, კრივის დარბაზი, 11 ტანვარჯიშის დარბაზი, მოეწყო 37 ფრენბურთისა და 11 კალათბურთის მოედანი, გაიხსნა საჭადრაკო კლუბი. შარშან მომზადდა 7 სპორტის ოსტატი, 18 ოსტატობის კანდიდატი, 126 პირველთანრიგოსანი. მშდ კომპლექსის ნორმატივები 3598 კაცმა ჩააბარა.

კარგი მუშაობით ისახელეს თავი ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის, ზნაურის რაიონის ავნევის კოლმეურნეობის, ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის, სოფ. კეხვისა და სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

სესიამ ყურადღება გაამახვილა არსებულ ნაკლოვანებებზე. აღინიშნა, რომ ბევრ საწარმოში და დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაბალ დონეზეა ფიზკულტურული მუშაობა, ზოგიერთი სპორტის სახეობის განვითარებისთვის სათანადოდ არ ზრუნავენ. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის რუსპუბლიკის ნაკრებ გუნდებში სამხრეთ ოსეთის ვერც ერთი სპორტსმენი ვერ მოხვდა.

აღინიშნა, რომ სუსტად მუშაობს „დინამო“, რომლის სპორტსმენებიც საოლქო შეჯიბრებებში არ მონაწილეობენ. ცუდადაა დაყენებული ფიზკულტურის სწავლება სოფლის სკოლებში, რომელთაც კვალიფიციური კადრები არა ჰყავთ. სკოლის დირექტორები და სახალხო განათლების ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ სპორტით მოსწავლეთა დაინტერესებისთვის.

სესიაზე ითქვა, რომ დაბალ დონეზე დგას მშდ კომპლექსის პროპაგანდა, მეტ ყურადღებასა და მოვლა-პატრონობას მოითხოვს სპორტული ბაზები. მაგალითად, ზნაურისა და ლენინგორის სტადიონები უპატრონოდაა მიტოვებული.

სესიამ განხილული საკითხების გამო მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს სამხრეთ ოსეთში სპორტის შემდგომ განვითარებას.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ნორმატივებს აბარებენ

საქართველოს ალკა ზესტაფონის რაიკომისა და რაიონის სპორტსკოლის თაოსნობით ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონზე ჩატარდა შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის საშუალო სკოლების 300-მდე სპორტსმენი. ოქროს სამკერდე ნიშანზე ნორმატივები ჩააბარა 29 მოსწავლემ, ვერცხლის სამკერდე ნიშანზე — 91 ფიზკულტურელმა.

ა. განუგრავა.

ფოთაბეჭდილებები „ოქროს საწმისიდან“

მცხუნვარე მზე, სუფთა ჰაერი, თბილისის ზღვის აქორრილი ტალღები და თანამედროვე სტილით ნაგები მრავალსართულიანი შენობა. აქ საუბრობენ ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად, გერმანულად, პოლონურად... აქ ერთმანეთთან მეგობრობის ძაფებს აბამენ ხუთივე კონტინენტის ახალგაზრდები. ისინი ახალგაზრდული საერთაშორისო ბანაკის „ოქროს საწმისის“ სტუმრები არიან. თბილისისა და მისი შემოგარენის გაცნობამდე ტურისტები სწორედ აქ ღებულობენ პირველ შთაბეჭდილებებს. მათ დიდხანს დაამახსოვრდებათ აქ გატარებული დღეები, მომსახურე პერსონალის მოღიმარი სახეები და სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები.

სამწუხაროდ ბანაკი მთლად უნაკლო როდია. ნაკლის მითითება, ჩვენი ღრმა რწმენით, უფრო კარგ ნაყოფს გამოიღებს, მით უმეტეს, რომ „ოქროს საწმისმა“ მხოლოდ წლეულს გაუღო კარი სტუმრებს. მაგალითად, ბანაკში არაა სპორტული მოედნები. კეთილმოწყობილია პლაჟიც. ნომრები ცუდად მარაგდება სასმელი წყლით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს ხანში მასპინძლები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა სტუმრებს მართლაც კარგი მოგონებები გაჰყვეთ „ოქროს საწმისიდან“.

ეს ფოტოსურათები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, „ოქროს საწმისშია“ გადაღებული. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ აშშ-ს, პოლონეთის, გდრ-ისა და სსრ კავშირის ტურისტთა ჯგუფს; მეორე ფოტოსურათზე აღბეჭდილია ჰ. მაჰერისა (აშშ) და ლიტველი ს. კაბაევას (მარჯნივ) შეხვედრა ჭადრაკში; მესამეზე — ტურისტები იალქნიანი ნავით გასეირნებისთვის ემზადებიან; მეოთხეზე — ტურისტები პლაჟზე.

ა. გურასაშვილის ტექსტი და ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ყურადღება კადრებთან მუშაობას!

დასასრული

პირველ ყოვლისა კი საქართველოს პროფსაბჭომ გადამჭრელი ზომები არ მიიღეს, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მშრომელთა ჩაბმის ეს ყველაზე მასობრივი და ხელმისაწვდომი ფორმა თანდათან დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

ამასთან, საჭიროა ყოველდღიური, სისტემატური ზრუნვა საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. დაბალი ცოდნის მქონე მასწავლებელსა და მეთოდისტს სარგებლობის მაგიერ შეუძლია ზიანი მოუტანოს მოსწავლეთა, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა გაჯანსაღების საქმეს. უცოდინარი მეთოდისტი, რა თქმა უადა, მშრომელებში ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს, ვერ დაუმტკიცებს მას საწარმოო ტანვარჯიშის ეფექტურობას, მის დიდ მნიშვნელობას ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებისთვის.

1973 წელს სპორტის 46 სახეობაში საწვრთნელ მეცადინეობას ხელმძღვანელობდა 2188 შტატიანი და საათობრივ ანაზღაურებაზე მომუშავე მწვრთნელი. მათს უმეტესობას — 1046 კაცს საერთოდ არა აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური ფიზკულტურული განათლება (!).

ამასთან, მწვრთნელების მომზადებას, განაწილებასა და კვალიფიკაციას ყოველთვის როდი აქვს გეგმაზომიერი ხასიათი. შედარებით ნაკლები სპეციალისტი-მწვრთნელი გვყავს სპორტულ სექციებში — მძლეოსნობაში ერთ კვალიფიციურ მწვრთნელზე 1571 მომეცადინე მოდის, კალათბურთში — 1301, ფრენბურთში — 2997, ტანვარჯიშში კი — 104. მოცურავეთა 131 მწვრთნელიდან ფიზკულტურული განათლება არა აქვს 46-ს, ხელბურთში — 91-დან 55-ს, ტყვიის სროლაში — 43-დან 24-ს, ძალოსნობაში — 55-დან 23-ს, ფარიკაობაში — 54-დან 19-ს, ფეხბურთში — 187-დან 69-ს, კალათბურთში — 199-დან 107-ს, კრივში — 58-დან 33-ს, თავისუფალ ჭიდაობაში— 150-დან 66-ს, საგზაკეცილო ველოსპორტში — 64-დან 38-ს, ფრენბურთში — 163-დან 56-ს, სპორტულ ტანვარჯიშში — 162-დან 85-ს, მძლეოსნობაში — 250-შტატიანი და საათობრივ ანაზღაურებაზე მომუშავე მწვრთნელიდან 85-ს...

რა თქმა უნდა, „შედეგებიც" არ აყოვნებს. სხვა ორგანიზაციებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, რომელთა ქსელით დაფარულია რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები, წლიდან წლამდე სანახევროდაც ვერ ასრულებენ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამ სკოლების აღზრდილ სპორტსმენთა ნახევარზე მეტი ვერ ასრულებს სავალდებულო ნორმატივებს. სათანადოდ ვერ მუშაობენ ახალგაზრდული და უმაღლესი სპორტული სკოლების, სპორტულ საზოგადოებათა სექციების მწვრთნელები. მათგან ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კვალიფიკაცია აიმაღლა მხოლოდ 257 მწვრთნელმა.

საქმეს ისიც აფერხებს, რომ არ სრულდება საკავშირო სპორტკომიტეტის დადგენილება კადრების ეროვნული აღრიცხვის შესახებ. აფხაზეთის არც ერთ ფიზკულტურულ ორგანიზაციაში კადრების აღრიცხვის პირად საქმეში არ აღმოჩნდა რიგი დოკუმენტებისა — დიპლომის ასლები, ავტობიოგრაფიები, დახასიათებები, არსად არ არის მოწესრიგებული ნომენკლატურა. ასეთივე მდგომარეობაა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ საბჭოშიც კი.

ბევრი ფიზკულტურული ორგანიზაცია არ ასრულებს ზემდგომი ორგანოების მითითებებს, რომ ყველა მუშაკმა ყოველ ოთხ წელიწადში გაიაროს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთთვიანი კურსები. რესპუბლიკის 6000-ზე მეტი შტატა მუშაკიდან ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კვალიფიკაცია აიმაღლა მხოლოდ 1432 კაცმა. ძაისში საორგანიზაციო განყოფილების მუშაკთა ერთთვიან კურსებზე 50 კაცის მაგიერ გამოცხადდა სულ 7 მსმენელი (!).

დღეს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით დიდი მუშაობა ტარდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მაღალკვალიფიციური კადრების აღსამზადებლად. შარშან სათანადო ღონისძიებები გატარდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, რამაც უნდა უზრუნველყოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წამდგომი გაუმჯობესება. მწვრთნელთა სკოლას გამოეყო სასწავლო კორპუსი, ყველა პედაგოგიურ ინსტიტუტთან გაიხსნა ფიზკულტურის ფაკულტეტი. ეს სასწავლებლები ყოველწლიურად 400-ზე მეტ უმაღლესი და 100-მდე საშუალო ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტს უშვებენ.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებსა და ცალკეულ უწყებებს ყოველწლიურად სხვადასხვა მიზეზით ტოვებს საშუალოდ 300 მუშაკი (პენსიაზე გადასვლა და სხვ.). იმის გამო, რომ ეს ორგანიზაციები და უწყებები არასერიოზულად ეკიდებიან ობიექტების სპეციალისტებით დაკომპლექტების საქმეს, მარტო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებიდან 100-მდე ახალგაზრდა სპეციალისტი სამუშაოდ გაუხაწილებელი დარჩა.

ამას წინათ საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ განიხილა კადრებთან მუშაობის საკითხი და მიიღო ვრცელი დადგენილება ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ა. დოკვაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ნ. სოფხიშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი.

„ლელოს" ფურცლიდან

ამ სათაურით „ლელოს" 7 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ფრუნზეში „პრავდის" პრიზზე გამართული საკავშირო კროსისთვის აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდების დაკომპლექტებაში დაშვებული თვალის აცვევის ფაქტები, რაც საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მსჯელობის საგანი გახდა.

სპორტკომიტეტის კოლეგიამ ამასთან ერთად იმსჯელა რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარებისა და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ნაკრები გუნდის მზადების შესახებ თავისი 1973 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე და აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების შემდგომ პერიოდში საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრთა მაჩვენებლების დონე უმეტესად დაბალია. მაგალითად, „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ზამთრის პირველობის მონაწილე საქართველოს ნაკრების 9 წევრიდან 8 სპორტსმენი მეორე თანრიგის შედეგებს დასჯერდა, „კოლმეურნისა" და „ლოკომოტივის" პირველობებში რესპუბლიკური ნაკრების არც ერთი წევრი არ მონაწილეობდა, ხოლო „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ საერთოდ თავი აარიდა ცენტრალური საბჭოს შეჯიბრებას.

უფრო დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ბრძანებით „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მძლეოსანთა ნაკრებს მეტად დაბალი მაჩვენებლების გამო საკავშირო გუნდურ შეჯიბრებებში მონაწილეობა აეკრძალა. ეს გასაკვირი არ არის — ამ საზოგადოებას საქართველოს ნაკრებში ერთი მძლეოსანიც კი არა ჰყავს. კოლეგიამ ისიც აღნიშნა, რომ თბილისის არმიელთა სპორტულ კლუბში მძლეოსნობის განვითარებისთვის არავინ ზრუნავს.

ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ მძლეოსანთა საუნყებო საკავშირო პირველობაში საქართველოს მხოლოდ 6 სპორტსმენი მონაწილეობდა.

საქართველოს მძლეოსნებს მაღალი შედეგებით თავი არც ტაშკენტში გამართულ მეგობრობის მატჩში გამოუჩენიათ, არც ლენინგრადში ჩატარებულ საკონტროლო შეჯიბრებაში. თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაში რესპუბლიკის ნაკრების 22 წევრიდან სპორტის ოსტატის ნორმატივის შესაბამისი შედეგი ვერც ერთმა ვერ აჩვენა, სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს კი მხოლოდ ორი მონაწილე შესწვდა.

ნაკრების წევრთა ასეთი დაბალი შედეგები იმითაა გამოწვეული, რომ გუნდი სპორტსკოლებიდან, რაიონებიდან, ქალაქებიდან სათანადო შევსებას ვერ იღებს. სპორტსკოლების დაკომპლექტებისას მწვრთნელები ნიჭიერ ბავშვებს არ არჩევენ. საამისოდ მათ არც სცალიათ, ვინაიდან მწვრთნელთა უმრავლესობა შეთავსებით ორ და სამ ადგილზე მუშაობს.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპორტულ სკოლაში 258 მოსწავლიდან შარშან პირველი თანრიგის ნორმატივი მხოლოდ სამმა შეასრულა, ბათუმის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლა ოსეთის რესპუბლიკური ფედერაციის, მწვრთნელთა საბჭოს მოუქნელი მუშაობა. ითქვა, რომ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაშია მძლეოსან ქალთა აღზრდის საქმე. მძლეოსნობაში მუშაობა კვლავ დაბალ დონეზეა. რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაში. ამ სკოლამ რესპუბლიკის მთავარ გუნდს მაღალკვალიფიციური სპორტსმენები უნდა მოუმზადოს, სინამდვილეში კი ნაკრების ზოგიერთ წევრს მშდ კომპლექსის ნორმატივიც არა აქვს ჩაბარებული.

კოლეგიამ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს, აგრეთვე, ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს უსაყვედურა იმის გამო, რომ ისინი ნაკლებად ეხმარებიან მძლეოსნებს.

„სად მარხია ძალის თავი?"

და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალური სპორტსკოლის 228 მოსწავლიდან — ვერც ერთმა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალური სპორტსკოლა, რომელსაც შეთავსებით ხელმძღვანელობს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგე დ. იოსელიანი. როგორც კოლეგიაზე ითქვა, რესპუბლიკაში მძლეოსნობის ჩამორჩენის მიზეზი ისიცაა, რომ ფიზკულტურის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, უწყებები არ ასრულებენ საქართველოს სპორტკომიტეტის 18 ოქტომბრის დადგენილების მთელ რიგ პუნქტებს. მაგალითად, „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ ვერ უზრუნველყო ბათუმის „დინამოს" სტადიონის დროული რეკონსტრუქცია, ამერიკაკავასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ — ქუთაისის მძლეოსნური მანეჟის რემონტი, „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ — ქობულეთის სტადიონზე მძლეოსნური სექტორების მოწყობა, რაიონებისა და ქალაქების სპორტკომიტეტებ ე ა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა არაფერი გააკეთეს მძლეოსნობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. სპორტკომიტეტებს ამ სახეობაში ნაკრები გუნდებიც კი არა ჰყავთ, არ ატარებენ პირველობებს, სათანადოდ ვერ აკონტროლებენ მწვრთნელების, სპორტსკოლების, სექციების მუშაობას.

კოლეგიაზე ითქვა, რომ აფხაზეთს, აჭარას, სამხრეთ ოსეთს, ქუთაისს, ფოთს, სხვა ოლქებსა და რაიონებს საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებში თითო მძლეოსანიც არა ჰყავთ. აღინიშნა მძლეტიტუტს უსაყვედურა იმის გამო, რომ ისინი ნაკლებად ეხმარებიან მძლეოსნებს.

რესპუბლიკაში დაბალ დონეზე ტარდება შეჯიბრებები, ასპარეზობის დროს სარბიელი სათანადოდ გაფორმებული არ არის, შეჯიბრებების საზეიმოდ გახსნისა და დახურვისთვის არ ზრუნავენ, გამარჯვებულებს საზეიმოდ არ აჯილდოებენ, მონაწილეებსა და მსაჯებს ფორმით თითქმის ვერაფერს ნახავთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს ნაკრების წევრთა შორის დაეცა დისციპლინა. მაგალითად, წესის დარღვევისთვის დაისაჯნენ ვ. ამოსოვი, მ. ალიაკრინსკაია, თ. აჯოევი, დ. მელაძე (ყველა — „ბურევესტნიკი"), ტ. ოსიპოვა („ლოკომოტივი"), ი. კოზელსკი (ასკ), ა. ჩესნოკოვი, ა. ნიკონენკო (ორივე — „დინამო") და სხვ.

სწორედ მძლეოსნობაში შექმნილმა მდგომარეობამ, უდარდელობისა და დაუდევრობის ატმოსფერომ გამოიწვია ის ამბავი, რომ „პრავდის" კროსის საკავშირო გათამაშებაში აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდებში ამ კოლექტივების ხელმძღვანელთა „თაოსნობითა" და ფიზკულტურის კომიტეტების მხრივ წაურუებით აღმოჩნდნენ წალკელები დ. ანანიკოვა, ო. დილიანოვა, ე. ზურნაჩიანი, თბილისელი გ. ხარაზიშვილი. ქუთაისელები ლ. მაკაროვა, მ. გურეშიძე და სხვები. აჭარის გუნდმა ამ მაქინაციების წყალობით საკავშირო ტურნირში თავის ჯგუფში III ადგილი დიკავა.

კოლეგიამ თავისი 1973 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის მიუთითა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ფოთის, ქუთაისის, ტყიბულის სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებს, „დინამოს", „ლოკომოტივის", „სპარტაკის", „კოლმეურნის", „ბურევესტნიკ ი ს", „შრომითი რეზერვების" ხელმძღვანელობას. დაისახა, აგრეთვე, სხვა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

„პრავდის" საკავშირო კროსის მონაწილე აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდების დაკომპლექტებაში დაშვებული სერიოზული შეცდომებისთვის მძლეოსნობაში საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს ე. ლომთათიძეს კოლეგიამ გამოუცხადა სასტიკი საყვედური (უფრო გვიან კი სამსახურიდანაც გაათავისუფლა). აფხაზეთისა (თავმჯდომარე ჯ. გუბაზი) და სამხრეთ ოსეთის (ა. თედეევი) სპორტკომიტეტებს დაევალათ კოლეგიაზე განიხილონ „ლელოს" ფურცლებზე მხილებული ფაქტები და დამნაშავენი სათანადოდ დასჯონ.

კოლეგიამ ცნობად მიიღო აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ზ. მამუჯავის განცხადება, რომ სპორტკომიტეტის კოლეგიამ ნაკრებში წალკელი სპორტსმენების შეყვანისთვის გუნდის წარმომადგენელს ვ. ლიბერმანს გამოუცხადა სასტიკი საყვედური. ზ. მამუჯავის კოლეგიამ დაავალა გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება, ლიბერმანი მოხსნას მწვრთნელის თანამდებობიდან და აუკრძალოს გუნდის წარმომადგენლობა.

„ მეზიურს" სპორტიც ალაპაგებს

თბილისში, ს. კიროვის სახელობის პარკში გაიხსნა პიონერული ბანაკი „მზიური".

ბანაკში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. „ბურევესტნიკმა" პიონერებს დაუთმო სპორტული სარბიელი, სადაც პატარები ერთმანეთს ეჯიბრებიან კალათბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში.

მეორე კვირაა მიმდინარეობს ბანაკის პიონერთა სპარტაკიადა. ასპარეზობის პროგრამაშია ჭადრაკი, ფეხბურთი, ფრენბურთი, შაში და ტყვიის სროლა.

პარკში მდებარე პენსიონერთა კლუბში ნორჩმა მოჭადრაკეებმა მოაწყვეს შეჯიბრება, რომელშიც ყველას მე-3 რაზმის პიოიერებმა აჯობეს.

სპორტში კარგი მონაცემები გამოავლინეს ჭაბუკებმა თ. მახარაძემ, ლ. ძოძუაშვილმა, გოგონებმა მ. სენნინიშინამ, მ. მეტრეველმა, ი. სარუქანიანმა და სხვებმა.

„მზიურის" ნორჩი სპორტსმენები არ სჯერდებიან ერთმანეთთან შეჯიბრებას, ხშირად ხვდებიან რაიონის სხვა ბანაკების პიონერებსაც.

ბანაკის ფიზაღზრდის მასწავლებელს ბ. საბანიძეს ხშირად დაყავს პიონერები სალაშქროდ. ამას წინათ ბავშვებმა დათვალიერეს სარძოლო და რევოლუციური დიდების ადგილები, იყვნენ თბილისის ზღვაზე.

პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბანაკის ნორჩ მეგანძრეთა წრის შეჯიბრებებში.

ბანაკში ყოველი ნაკადის წასვლისას ანთებენ პიონერულ კოცონს. იმ დღისთვის ნორჩები საგულდაგულოდ ემზადებიან.

მაია რუსაძე.

ისევ ჩამორჩება...

გორში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რესპუბლიკური პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 21 კოლექტივის 320 სპორტსმენი.

როგორც რესპუბლიკის ყველა სასწავლო დაწესებულებაში, მძლეოსნობა ტექნიკუმებშიც ჩამორჩება. ამ შეჯიბრებაში, მაგალითად, სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის სარბიელზე გამოსული 13 სპორტსმენიდან მხოლოდ გორელმა ჯ. ჯიოშვილმა შეძლო 145 სანტიმეტრის დაძლევა. 100 მეტრზე მორბენალთა შორისაც მან იმარჯვა (13,5), დანარჩენებმა კი III თანრიგის ნორმატივიც ვერ შეასრულეს.

სულ შეჯიბრების მსვლელობის დროს ნაჩვენებია 14-მეორე და 81 მესამე თანრიგის ნორმატივების შესაბამისი შედეგი.

პირველობამ მაინც გამოავლინა ნიჭიერი სპორტსმენები, მაგალითად, ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლემ ვ. ბეგიზოვმა შუბი 61,08 მეტრზე ტყორცნა, ხოლო 15 წლის გორელმა მარინე სირბილაძემ ბირთვი 10,40 მეტრზე ჰკრა. ზუგდიდელი გ. ბერიძვილი 6,60 მ სიგრძეზე გადახტა.

გუნდური I ადგილი დაიკავა გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივმა. II და III ადგილებზე გავიდნენ მცხეთისა და ლაითურის ტექნიკუმების მძლეოსნები.

საქართველოს ტექნიკუმების ნაკრები გუნდი და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივი მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობაში, რომელიც დონეცკში ჩატარდება.

ა. მოსულაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
გორი.

მთავარია სამშობლოს სახელი და დიდება...

თეოფილო სტივენსონი, ოლიმპიური ჩემპიონი ძძიძე წოლის მოკრივეთა შორის, რომელიც კუბაში 1973 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს, გულუხდგინედ ეუბნადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ეს ალპარეზობა პირველად ეწყობა ჰავანაში წლეულს აგვისტოში. ნიგერიმა სპორტსმენმა ივნისის დამდეგს მონაწილეობა მიიღო კამაგუაში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში და გაიმარჯვა.

კუბელ სპორტსმენს ბევრჯერ შესთავაზეს პროფესიონალებში გადასვლა და დიდ პონორარსაც დაპირდნენ, თუ რინგზე იასპარეზებდა სხვადასხვა ქვეყანაში, უმთავრესად ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეტეჯერები მას მდიდრულ გასტროლებს პირდებოდნენ, ამასთან, არც პასპორტის გამოცვლას სთხოვდნენ, არც საცხოვრებელი ადგილისას. მათ ძალიან უადოდათ, რომ კუბელი სპორტსმენი შემოსავლის წყაროდ ექციათ. მაგრამ თეოფილოს თავისი შეხედულება აქვს სპორტზე და მოთმინებით უხსნიდა აგენტებს, მოყვარულთა რიგებში დარჩენა მირჩევნიაო.

— ჩემთვის ჩემი სამშობლოს სახელი და დიდება ყველაზე ძვირფასია, — თქვა ახლახან ერთ-ერთ ინტერვიუში სტივენსონმა. მისი აზრით, მოყვარულ მოკრივეთა უპირატესობა პირველ ყოვლისა ისაა, რომ მათ უფრო მაღალი მიზნები აქვთ. მოყვარულებს აქვთ იდეალები, რაც არ შეიძლება ჰქონდეთ პროფესიონალებს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი კონტრაქტების ძალით საქმოსანთა ნებასურვილზე არიან დამოკიდებული.

ამჟამად თეოფილო უმეტეს დროს ორიენტეტ პროვინციის ერთ პატარა სოფელში ატარებს მშობლებთან ერთად. იგი თითქმის სპარტანულად ცხოვრობს. სადაც უნდა იყოს, სტივენსონი ყოველდღიურად აწყობს კრსს და ვარჯიშობს. სპორტსმენი თვითონ ადევნებს თვალყურს რეჟიმის დაცვას და ცდილობს მუდამ კარგ ფორმაში იყოს.

სტივენსონის სამერმისო გეგმები მარტივია: მოყვარულთა შორის პირველი ხელთამშნის ტიტულის მოპოვება წლევანდელ სეზონში და ოლიმპიური წარმატების გაპყორება. აქვს კიდეც საფუძველი ასეთი გეგმებისთვის. რაც სარბიელზე გამოდია, მან სამოცდაათიდან ხხოლოდ ათი ბრძოლა წააგო, არც ერთხელ არ ჩაუგდიათ ნოკაუტში და გამარჯვებათა უმეტესობა ვადამდე მოიპოვა. 1972 წლის ოლიმპიადის შემდეგ თეოფილო მხოლოდ ერთხელ დამარცხდა — ახალგაზრდა მაგადანელ სპორტსმენ იგორ ვისოცკისთან სანტ-იაგოს შარშანდელი ტურნირის ფინალში.

1973 წელს, როცა თეოფილო კუბის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს, მის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — კომკავშირში მიიღეს. როცა კორესპონდენტებმა ჰკითხეს, ვინ მიგაჩნიათ ყველაზე სახიფათო მეტოქედ, სტივენსონმა მიუგო: „მძიმეწონოსნები მძლავრად ურტყამენ და ყველა მათგანს შეუძლია ნოკაუტში ჩაგაგდოს, თუ პირი დააღე და დარტყმა გამოგეპარა. ასე რომ, ყველა შეხვედრაში ფხიზლად უნდა იყო“. თავის თავზე თეოფილო ამბობს, ყოველდღიურად მემატება ძალაო.

(საკდესის კორ.).

სურათზე: თ. სტივენსონი.

პრიზიორები გამოვლინდნენ

სან-ხუანი, 12 ივლისი. მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე ცხობილი გახდა პრიზიორთა ვინაობა: აშშ-ს, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის გუნდებს ვეღარავინ გაუწევს მეტოქეობას. სულ სხვა საქმეა, თუ ამ სამეულის რომელი წევრები ძოიპოვებენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს. ამ შეკითხვაზე პასუხს დარჩენილი შეხვედრები გასცემს.

მორიგი ტურის მატჩებში ყველაზე დაძაბული და დრამატული გამოდგა იუგოსლავიისა და კანადის კალათბურთელთა შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონმა გამარჯვებას უკანასკნელ წამებზე მიაღწია, როცა გაათანაბრა ანგარიში — 90:90. დამატებითს დროში იუგოსლავიელებმა გაიმარჯვეს — 102:99.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი — პუერტო-რიკო 87:76, აშშ — ბრაზილია 103:83, კუბა — ესპანეთი 84:75.



გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
აშშ	5	5	0	509—394	5
იუგოსლავია	5	5	0	462—406	5
სსრ კავშირი	5	4	1	428—355	4
კუბა	5	2	3	383—421	2
ბრაზილია	5	2	3	351—408	2
კანადა	5	1	4	432—445	1
ესპანეთი	5	1	4	392—470	1
პუერტო-რიკო	5	0	5	391—443	0

ჩემპიონატი დამთავრდა, ჩემპიონატი მზადდება

ბონი, 11 ივლისი (საკდესი). „ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია უკვე გეგმებს სახავს ფეხბურთში XI მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც 1978 წელს უნდა ჩატარდეს არგენტინაში“, — განუცხადა გაზეთ „ბონერ რუნდშაუს“ ფიფა-ს ახალმა პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა (ბრაზილია).

მან თქვა, რომ ოქტომბერში არგენტინაში გაიგზავნება სპეციალური კომისია, რომელიც გეცნობა ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს.

ახლახან დამთავრებული მსოფლიო პირველობის შესახებ აველანჟმა განაცხადა, რომ ჩემპიონატი ჩატარდა „სერიოზულ ნაკარდსათა გარეშე“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გფრ-ის გუნდის გაპარჯვება „დამსახურებულია“. აველანჟის სიტყვებით, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონატის მონაწილეთაგან საუკეთესო გუნდები.

აველანჟს ბრაზილიის ფეხბურთელთა მარცხის ერთ-ერთ მიზეზად ის მიაჩნია, რომ ბრაზილიის ნაკრები „ახალგაზრდული, გამოუცდელი გუნდი იყო და არ ჰყავდა კარგი, პელეს ან ტოსტოს მსგავსი დირიორი“.



● **კიევი, 12 ივლისი.** წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს ვაქეები ასპარეზობდნენ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიხვეჭა კიეველმა ი. ლობახოვმა — 560,58 ქულა. II ადგილზე გავიდა „უხიერსიადა 73“-ის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. სტრახოვი — 555,26. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა მინსკელ ა. კოსენკოვს — 526,23. ხელ ამავე სახეობაში იასპარეზებენ ქალები.

● **მოსკოვი, 12 ივლისი.** ინგლისის ქალაქ ტისაიდში სტუდენტთა XX გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ გაემგზავრნენ საბჭოთა მოჭადრაკე ვაჟები. გუნდის შემადგენლობაში არიან დიდოსტატები მოსკოველი ი. ბალაშოვი და ერევნელი რ. ვაპანიანი, ჩემპიონი ქალებისა შორის, ლვოველი ა. ბელიავსკი, ასევე ლვოველი ო. რომანიშინი და მინსკელი ვ. კუპრეიჩიკი.

● **ორენბურგი, 12 ივლისი.** ბელორუსიის მოშაშეთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ საერთაშორისო დიდოსტატი ა. განტვარგი, სპორტის ოსტატი ა. ბლაკინი და სხვ. მოიგო აქ დამთავრებული სსრ კავშირის თასის გათამაშება.

თავშეუკავებელი ტილკოვსკი

გფრ-ის ნაკრების ყოფილი მეკარე ჰ. ტილკოვსკი თავის დროზე აუდელებელი, მშვიდი, სამაგალითო სპორტსმენი იყო.

მაგრამ მერე, როცა თავი დაანება თამაშს, დაამთავრა მწვრთნელთა სკოლა და „ნიურნბერგს“ ჩაუდგა სათავეში, ძველი, წყნარი ტილკოვსკი საოცრად შეიცვალა. იგი უყვირის მოთამაშეებს, მინდორზე გადადის და ეკამათება მსაჯებს. ამას წინათ მინდორზე შეჭრისთვის გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ ტილკოვსკი 1000 მარკით დააჯარიმა.

მშვიდობით, ფლორიან!

...მწვანე მინდორზე ერთმანეთს ხვდებოდნენ უნგრეთისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები. მიმდინარეობდა ამხანაგური მატჩის მე-15 წუთი. უნგრელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ფლორიან ალბერტმა ხელი ასწია. მსაჯმა თამაში შეაჩერა. გაისმა მაყურებელთა ტაში და შეძახილები. „მშვიდობით, ფლორიან!“ თავდამსხმელი სტადიონის გასახდელისკენ გაიქცა და თან ძალულად ცრემლებს იწმენდდა. „უნგრული ფეხბურთის რომანტიკოსმა“, 33 წლის ფლორიან ალბერტმა იმ დღეს უკანასკნელად, საშოცდამეთხუთმეტედ ჩაიცვა ეროვნული ნაკრების ფორმა და სამუდამოდ დაეშვიდობა მწვანე მინდორს (ამიერიდან იგი სპორტული ჟურნალისტი იქნება).

ბოლო წლებში ფლორიან ალბერტის სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული უნგრეთის ნაკრებთან და ცნობილ კლუბ „ფერენცვაროშთან“. მისი კარიერა 1959 წლის 28 ივნისს დაიწყო ბუდაპეშტში შვედებთან მატჩით (უნგრელებმა წააგეს — 2:3) და პრაქტიკულად დამთავრდა 1969 წლის 15 ივნისს, როცა მექსიკის ჩემპიონატისთვის შესარჩევ მატჩში დანიელებთან (კოპენჰაგენი) ბუსლის მძიმე ტრავმა მიიღო.

კოპენჰაგენის შემდეგ იუგოსლავიელებთან გამართული გამოსათხოვარი იატჩი ალბერტის მეექვსე გამოსვლა იყო ნაკრების სახელით.

... 1966 წელი. ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილიელებთან შეხვედრა. უნგრელებმა ბაშინ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. ამ მატჩში თვით ვირტუოზი ბრაზილიელების ფოსშეც კი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა ალბერტი იყო.

მაღალი, ტანადი, ბრწყინვალე ტექნიკოსი ალბერტი უძლიერესი იყო მსოფლიო ნაკრებში, რომელმაც 1968 წელს რიო-დე-ჟანეიროში ითამაშა ბრაზილიის გუნდთან. მატჩი ეძღვნებოდა შვეიცის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელთა წარმატების 10 წლისთავს. მაშინ ერთადერთი საპასუხო გოლი „მარაკანაზე“ ალბერტმა გაიტანა (1:2).

„ფერენცვაროშის“ სახელით ალბერტმა 351 მატჩში ითამაშა და 258 გოლი გაიტანა. ამ გუნდთან ერთად ალბერტი ოთხჯერ გახდა უნგრეთის ჩემპიონი და ორჯერ ქვეყნის თასი მოიპოვა. ალბერტის კოლექციაში ინახება 1960 წლის ოლიმპიური თამაშებიცა და ევროპის 1964 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები.

იგი ორჯერ იყო უნგრეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ორჯერ აღიარეს უნგრეთის საუკეთესო ფეხბურთელად. მაგრამ მთავარი ჯილდო ალბერტმა 1967 წელს ჩაიღო. ეს იყო „ოქროს ბურთი“, რომელიც ფრანგულმა ყოველკვირეულ მა „ფრანს-ფუტბოლმა“ დააწესა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის. ალბერტი „ოქროს ბურთის“ მეთორმეტე ლაურეატი იყო. უნგრელებიდან მას ერთადერთმა მოიპოვა ეს პრიზი.

საინტერესოა ალბერტის მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა ასაკის უნდა იყოს ნაკრების მოთამაშე. ეს მოსაზრებები ჟურნალ „ფუტბოლ მაგაზინის“ ფურცლებზე დაიბეჭდა.

— ჩემი აზრით, ახალი არაფერი იქნება იმაში, თუ ვიტყვი, რომ ფეხბურთი ეზოს მოედნებზე იწყება. მოზარდი იმთავითვე იყენებს გარკვეულ ტექნიკას, ამასთან თავისუფალს, თავისი ბუნებრივი მონაცემების შესაფერს. მე ვფიქრობ, მწვრთნელის მთავარი ამოცანაა ამ ბუნებრივი თავისებურებების დაცვა და განვითარება.

ჟურნალისტები ზოგჯერ მე მასახელებენ მაგალითად: 17 წლისა ვიყავი, ნაკრებში რომ მათამაშეს. მე კი აი, რას ვფიქრობ: ახალგაზრდა ფეხბურთელს, რა თქმა უნდა, არა აქვს საკმარისი გამოცდილება და ფიზიკური მომზადება, მაგრამ აქვს ერთი უპირატესობა — ახალგაზრდობა. ასეთ ფეხბურთელს ახალგაზრდული სიო შეაქვს გუნდში, მას შეუძლია გააკეთოს ისეთი რამ, რასაც ფუტერანები უკვე ვეღარ შეძლებენ. მაგრამ მთავარია, რომ ეს გაიგონ ახალბედას უფროსმა პარტნიორებმა, რომ მათ კოპკურენტი კი არ დაინახონ ამ ახალგაზრდაში, არამედ დამხმარე. მე სწორედ ასე შემხვდნენ უნგრეთის ნაკრებში...

ა. გორბუნოვი.
(საკდესის კორ.).

სურათზე: ფ. ალბერტი.

საკდესი რეკომენდაციებიდან



რეგბი. ასკ-ს სტადიონი. დღეს: სსრ კავშირის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს ორის. „განთიადი“ (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი). დასაწყისი 16 ს.

ავტოსამოდელო სპორტი. კორდოდრომი (მაგნიტოგორსკის ქ. № 1). 14-17 ივლისი. სსრ კავშირის პირველობა. დასაწყისი 10 ს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЗ 04669